



MES 5 21 0000800144



17/08/2021

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი - 03/07/2021;  
სხდომის დაწყების დრო - 16:10 სთ;  
სხდომის დამთავრების დრო - 17:22 სთ;  
საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული;  
სხდომის მდივანი - კახაბერ ფარცხვანია.

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;  
**ნუგზარ სხირტლაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე პრეზიდენტი სასწავლო დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;  
**გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი“ პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;  
**არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ აკადემიური დირექტორი;  
**კახაბერ ფარცხვანია** - შპს „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის“ მასწავლებელი, სხდომის მდივანი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

#### სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**ქეთევან თელია** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ნინო გულიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:**

**ნინო იმნაძე** - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი:**

**ვახტანგ ლეჟავა** - რექტორი;

**მარინა ქარჩავა** - პრორექტორი;

**ანკა თაბუკაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;

**მარიამ გაბუნია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**თამარ გეგეშიძე** - აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი;

**ნუცა ბათიაშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი;

**ლანა გაბრიაძე** - პროგრამის კოორდინატორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 28<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. სააპელაციო საბჭოს მდივანი არ ესწრებოდა საბჭოს, ამიტომ, ამავე მუხლის შესაბამისად, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაევალა საბჭოს წევრს, კახაბერ ფარცხვანიას.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით -

✓ არა

**სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა;

**1. პირველი საკითხი - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააკველიაციო საჩივრის განხილვა**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ		
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დასახელება	07. სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - (07) PhD in Social Sciences, მათ შორის: - ეკონომიკის დოქტორი - (0701) PhD in Economics - სოციოლოგიის დოქტორი - (0706) PhD in Sociology - ფსიქოლოგიის დოქტორი - (0707) PhD in Psychology - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი - (0705) PhD in International Relations (10) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი - PhD in Humanities, მათ შორის: - (1006) ფილოსოფიის დოქტორი - (1006) PhD in Philosophy - (1005) ფილოლოგიის დოქტორი - (1005) PhD in Philology - ისტორიის დოქტორი - (1004) PhD in History
4.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს
7.	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია 25/05/2018, №66 გადაწყვეტილებით 7 წლის ვადით

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხილება -**

✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

### **ზეპირი მოსმენა**

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებული იყო 2018 წელს 6 თვის ვადაში მონიტორინგის პირობით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე განხორციელდა მონიტორინგით შეფასება, რომლის შედეგებიც განიხილა აკრედიტაციის საბჭომ, რაზედაც უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარი. საბჭოს თავმჯდომარემ, სააპელაციო საბჭოს ფუნქციისა და საქმიანობის შინაარსიდან, ასევე, ახალი კაუტელარული პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, დამსწრე წევრებს შესთავაზა სააპელაციო საჩივრის განხილვის იურიდიულად გამართული პროცედურა და საჩივრის არსებითად განხილვის დასაშვებობის ტესტი, რომელიც ორი გადალახვითი ნაწილისაგან შედგება და მიუხედავად მათი შესაძლოა ერთმანეთთან კავშირისა, თითოეული მათგანი საჭიროებს ცალკე გამოკვლევასა და შეფასებას. თავისუფალი უნივერსიტეტის საპელაციო საჩივარიც აკმაყოფილებს აღნიშნულ მიდგომას და იგი არსებითად ორი ნაწილისაგან შედგება. ყოველი საჩივრის განხილვისას სააპელაციო საბჭო ვალდებულია, გამოარკვიოს საჩივრის ფორმალური და მატერიალურ-შინაარსობრივი საკითხები და მხოლოდ მათი თანმიმდევრულად განხილვის შედეგად მიიღოს საჩივრის დაკმაყოფილების, ან მასზე უარის თქმის გადაწყვეტილება. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ადრე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში სააპელაციო საბჭო ვალდებული უნდა იყოს დააბრუნოს საქმე ხელახალი განხილვისათვის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე კონკრეტული მითითებებით, რათა ამ უკანასკნელს ნათელი წარმოდგენა ჩამოუყალიბდეს, თუ რა საკითხებზე გაამახვილოს მან არსებითად ყურადღება, რამეთუ სააპელაციო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არა მხოლოდ საკითხი (საკითხების) არსებითად განხილვის შედეგად, არამედ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების იმ ნაწილის არგუმენტირებულ შესაგებელს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც, სააპელაციო საბჭოს მტკიცებით არ ან სათანადოდ ვერ დასაბუთდა „ქვედა ინსტანციის“ - აკრედიტაციის საბჭოს მიერ.

საჩივრის მიღების, თუმცა მასზე უარის თქმის შემთხვევაში, ბუნებრივია, სააპელაციო საბჭო არსებითად ეთანხმება აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუმცა აქაც ხაზგასასმელია, რომ სააპელაციო საბჭოს აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება სხვა არგუმენტების საფუძველზე არ უნდა შეეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საბჭო თავად იქნებოდა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო (როგორც ეს, ჩვეულებრივ, დამკვიდრებულია საერთო სასამართლოთა სისტემაში აპელაციის მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილების ფორმატში); და რადგან სააპელაციო საბჭოს ამის უფლება კანონმდებლობით მინიჭებული არ აქვს, მაშინ სააკრედიტაციო საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების უფლებამოსილება სხვა იურიდიული არგუმენტებისა თუ ფაქტობრივი გარემოებების მოყვანით მას არ აქვს. სააპელაციო საბჭომ მსგავს შემთხვევებში უნდა გააუქმოს აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება მისეული არგუმენტაციის თვალსაზრისით და კონკრეტული მითითებებით გაუგზავნოს ხელახლა განსახილველად საქმე აკრედიტაციის საბჭოს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ამას საკითხის (სააპელაციო საჩივრის) შინაარსობრივი განხილვის აქამდე არსებული პრაქტიკა აჩვენებს, მსგავსი შემთხვევები, ალბათ, იშვითი იქნება.

სააპელაციო საჩივარი, ისევე, როგორც ამას სააპელაციო საბჭოს საქმის განხილვისას გააკეთებს, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველი მოიცავს ფორმალურ-პროცედურულ წინაპირობებს (და მათ დარღვევას), ხოლო მეორე სხვადასხვა შინაარსობრივ-მატერიალურ საკითხს, რომელიც, ზოგჯერ არაპირდაპირ, ზოგჯერ კი საერთოდ არ არის დაკავშირებული პირველ (ფორმალურ) საკითხთან.

მიზანშეწონილია, სწორედ პირველი და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვით დაიწყოს საჩივრის ზეპირი განხილვა. თავის მხრივ, ფორმალურ-პროცედურულ წინაპირობებში ორი ძირითადი საკითხი მოიაზრება: 1. აკრედიტაციის მიერ განსაზღვრული 6 თვიანი ვადის დარღვევა; და 2. მონიტორინგის (პროგრამის ამ თალსაზრისითა და ამ ფორმატში) განხილვის, უფრო სწორედ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოების ფარგლების დადგენა. ორივე საკითხი არსებითდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი უნივერსიტეტის ნებისმიერი პროგრამის (მონიტორინგის, ანგარიშის) შემოწმებისას, რამდენადაც ფორმალური დემოკრატიის პრინციპების უგულვებლყოფა დიდი რისკის ქვეშ აყენებს თავად გადაწყვეტილების მიღების კანონიერებასა და სამართლიანობის აღქმას უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მხრიდან. აღნიშნული პრინციპების დარღვევა ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის მხრიდან გადაწყვეტილების ობიექტურად აღქმას, რაც, ზოგადად, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმდებლობის არსებითი პირობაა.

განხილვას შემდეგომ მოყვება ე.წ. მატერიალურ-შინაარსობრივი კონტროლი, ანუ საკითხის მატერიალური ნაწილის განხილვა, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე (ფორმალური და მატერიალური) შესაძლოა მჭიდროდ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული.

მნიშვნელოვანი ფორმალური საკითხების განხილვა ბაზირებული იქნება სააპელაციო საჩივრის პირველ ნაწილზე. შესაბამისად, თუკი სააპელაციო საბჭო მიიჩნევს, რომ არ არის დარღვეული მონიტორინგის 6 თვიანი ვადა, ან მონიტორინგით შეფასება და შედეგი მონიტორინგის დასაშვებ ფარგლებში იყო მოქცეული, ლოგიკურ-სისტემური იქნებოდა, შემდეგ სააპელაციო საბჭოს ემსჯელა შინაარსობრივ ნაწილზე, - ანუ განეხილა, თუ რა რეკომენდაციები ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს გაცემული და რომელი საკითხი არ არის მისაღები/გასათვალისწინებელი. მაგრამ თუკი პირველ და მეორე საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო საბჭო მივა დასკვნამდე, რომ დარღვეული იყო 6 თვიანი ვადა და მონიტორინგის ფარგლები გაუმართლებლად და არასაგნობრივად იყო გაზრდილი იყო (რისი უფლება კითხვის ნიშანს ბადებს), მაშინ დანარჩენი საკითხების განხილვა აზრს დაკარგავდა და საბჭო უფლებამოსილი იქნებოდა საკითხი აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახალი განხილვისათვის მიეზრუნებინა და მიეწოდებინა კონკრეტული მოსაზრებები. ამიტომ შესთავაზა დაეწყოს სააპელაციო საკითხის განხილვა პროცედურული/ფორმალური საკითხების განხილვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს რომ ემსჯელათ, თუ რატომ უნდა დაეზრუნებინა სააპელაციო საბჭოს საკითხი აკრედიტაციის საბჭოსათვის ხელახალი განხილვისათვის.

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ, განაცხადა, რომ აღნიშნული იყო პირველი სააპელაციო საბჭო დაწესებულებისთვის, ამიტომ, მათ არ ჰქონდათ ამ მიმართულებით გამოცდილება და გაჰყვებოდნენ შეთავაზებულ/დამკვიდრებულ პრაქტიკას; მისთვის ცნობილი იყო სამართლის პრინციპი, რომლის თანახმადაც, თუკი ერთ ტესტზე „ვარდება“ საკითხი, შესაძლებელია დანარჩენი ტესტების განხილვას მნიშვნელობა არ ჰქონდეს. თუმცა უნივერსიტეტი მაინც აცხადებს, რომ შინაარსობრივ ნაწილში დაწესებულება ხედავს უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხების დარღვევას. ამ მხრივ, მათთვის მაინც საინტერესო შეიძლება ყოფილიყო სააპელაციო საბჭოს მსჯელობა, რადგან მისი მოსაზრებით, ერთგვარად პოლიტიკის/პრეცედენტის დამკვიდრების/გატარების მექანიზმიცაა, გარდა იმისა, რომ ფორმალური იურიდიული ინსტრუმენტი საკითხის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება.

რაც შეეხება ფორმალურ შეუსაბამობებს, მას სურდა ყურადღების გამახვილება მონიტორინგის ფარგლების დარღვევაზე/გადაცდენაზე, რაც თავად უნივერსიტეტისა და მეორეს მხრივ, აკრედიტაციის პროცესისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია; რადგან თუკი ეს პრაქტიკა დამკვიდრდა, რომ მონიტორინგი ხდება ხელახალი აკრედიტაციის პროცესის იმიტაცია, ეს არ უნდა იყოს მონიტორინგის მიზანი. ამ შემთხვევაში, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა არ დაცვა ის ფარგლები, რომელიც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით წარმოადგენდა მონიტორინგის საგანს.

დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის დისკრეცია, რომ მათი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ან სხვა მოტივაციის გათვალისწინებით გადაენაცვლათ სხვა სფეროებში, ძალიან ცუდი პრეცედენტია და ეს დაამკვიდრებდა წარმოდგენას, რომ მონიტორინგი რეალურად არის ხელახალი აკრედიტაცია არაფორმალური მეთოდებით. იმდენად ოდიოზური შემთხვევაა (საჩივრის ტექსტში ასახულია), რომ ერთ-ერთი მოსაზრება, რომელიც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა და შემდეგ აკრედიტაციის საბჭომ არ გაიზიარა, ისინი დაუბრუნდნენ ექსპერტთა მოსაზრებას, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურ გადაწყვეტილებაში არ იყო გათვალისწინებული. კიდევ უფრო იმედგამაცრუებელი იყო დაწესებულებისთვის, როდესაც მათ აკრედიტაციის საბჭოს მიუთითეს ამის თაობაზე და საბჭოს არ ჰქონდა რეაქცია. დაწესებულებას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ექსპერტებს მონიტორინგის დროს აქვს სრული დამოუკიდებლობა, დისკრეცია განუსაზღვრელია. მისი მოსაზრებით, ფორმალურ პროცესში ეს ასე არ უნდა იყოს.

საუბარში ჩაერთო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი მარიამ გაბუნიაძე, რომელმაც გამოთქვა სურვილი ესაუბრა ვადებთან დაკავშირებით. მონიტორინგის 6 თვიანი ვადის დარღვევასთან მიმართებით განაცხადა, რომ პროგრამაზე აკრედიტაციის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2018 წლის 25 მაისს, სხდომის ოქმში არის ჩანაწერი, რომლის მიხედვით ცენტრის მიერ 6 თვის ვადაში უნდა მომხდარიყო მონიტორინგის განხორციელება პროგრამაზე. მონიტორინგის დაწყების შესახებ დაწესებულებამ წერილი მიიღო დაახლოებით 2 წლის შემდეგ 2020 წლის 26 ნოემბერს, ბრძანება კი გამოიცა 2020 წლის 31 დეკემბერს, აღნიშნულ ნაწილში სახეზე იყო მონიტორინგის შეფასების 6 თვიანი ვადის დარღვევა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა ანკა თაბუკაშვილმა, მონიტორინგის ფარგლებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს ოქმში ხაზგასმით იყო გაწერილი, რომ მონიტორინგის მიზანი უნდა ყოფილიყო აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება. იმავე ტიპის ჩანაწერი არის 2020 წელს მიღებულ ექსპერტთა ჯგუფის შექმნის ბრძანებაში; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწერილ დასკვნის პროექტსა და დასკვნაში გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც საერთოდ არ ეხებოდა თავდაპირველ მიზნებს და შესაბამისად, სცდებოდა მონიტორინგის ფარგლებს. აკრედიტაციის პერიოდში, როდესაც დაწესებულებას შემოაქვს განაცხადი, მოცულობითი დოკუმენტაციის თანდართვით, ვიზიტის განხორციელებით, შეხვედრებითა და სხვა ეტაპებით სხვანაირ სიღრმეებში ჩასვლა არის შესაძლებელი ექსპერტთა მიერ. ამ შემთხვევაში მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ რეკომენდაციების შესრულების ხარისხის შემოწმების საშუალებას იძლეოდა და შესაბამისად ძალიან შეზღუდული/არასრულფასოვანი მონაცემების/პროცედურის საშუალებით მოხდა თითქმის მთლიანი პროგრამის შეფასება. რომელიც არ განხორციელებულა სტანდარტის ფარგლებში, თუმცა რეკომენდაციები გასცდა მონიტორინგის ფარგლებს.

მარიამ გაბუნიაშვილს დასძინა, რომ როდესაც 2018 წელს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაიცა რეკომენდაციები და შემდეგ, როდესაც მონიტორინგის ბრძანება გაეგზავნა დაწესებულებას, მისაწოდებელი ჰქონდათ დოკუმენტაცია და წერილობითი პასუხი. დაწესებულებამ მიაწოდა ცენტრს ექსპერტთა ჯგუფისათვის გადასაცემად სრული ინფორმაცია. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ სრულად შეასრულა (წარმოდგენილ საჩივარში აღწერილია ყველა ფაქტობრივი გარემოება). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციები შესრულებულ იქნა, მათ შორის განხორციელდა გარკვეული პროგრამული ცვლილებები, მიმდინარე ეტაპზე ექსპერტთა რეკომენდაციები სცდება თავდაპირველ თემებსა და საკითხებს, საერთოდ არ მოიცავს დაწესებულების მიერ შესასრულებელ საკითხებსა და შესრულება/არ შესრულების განხილვას და დამატებით ეხება სხვა საკითხებს. დაწესებულებას სამართლებრივად ჰქონდა უფლება განეხორციელებინა პროგრამა, რადგან პროგრამა აკრედიტებულია 7 წლის ვადით 2025 წლამდე. მან გამოთქვა წუხილი, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განხილვის დროს სხვა საკითხებზე იმსჯელა.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულაძე განაცხადა, რომ მისთვის აღწერილი გარემოება გასაგები იყო, მაგრამ სააპელაციო საბჭოს აინტერესებდა დასაბუთება კონკრეტულად იმ ფაქტებისა, რომელიც მიიყვანდა მათ ამ მონიტორინგის ფარგლების მიღმა კონტროლამდე. პირადად მისი აკრედიტაციის საბჭოს წევრობისას დადგენილი ჰქონდათ შემდეგი პრაქტიკა, რომ მონიტორინგის ფარგლები არ შეიძლება იყოს უკიდურესად გაფართოებული, რადგან, როდესაც ექსპერტს ევალუა მონიტორინგით შეამოწმოს მაგ.: სტუდენტთა მიღწევები, აკადემიური პერსონალის მიღწევები, საერთაშორისო Impact ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციის შესახებ ინფორმაცია და ა.შ., ექსპერტი არ უნდა გადაწვდეს პროგრამის მიზანს, მის სწავლის შედეგებს, რაც ამ საკითხთან უშუალოდ დაკავშირებული არაა; წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა მონიტორინგის ფარგლების უსაზღვრო გაფართოება, რაც ეწინააღმდეგება მონიტორინგის არსსა და შინაარსს. მაგრამ თუკი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესამოწმებელი საკითხის/ფარგლების ამოწურვისა და სრულყოფილად გაგებისთვის, აუცილებელია შემოწმდეს მასთან შინაარსობრივად/ საგნობრივად პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებული საკითხი, მაშინ მონიტორინგის ჯგუფს ამის უფლება უნდა ჰქონოდა და მისი მოსაზრებით, სხვა დაკავშირებული საკითხების იგნორირება არ შეიძლება. თუკი ექსპერტმა უნდა შეამოწმოს პირველი სტანდარტის ის კომპონენტი, რომელიც პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების კორელაციას უკავშირდება, ამისი შემოწმება ვერ მოხდება სილაბუსის, სასწავლ კურსების შინაარსის და სხვა შინაარსობრივი საკითხების შემოწმების გარეშე. მას სურდა მოესმინა, საერთოდ დასმული იყო თუ არა აკრედიტაციის საბჭოზე აღნიშნული საკითხები, რომ მონიტორინგის პროცესში რა ფარგლებს ამოწმებდა ექსპერტთა ჯგუფი. სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს მიეთითებინათ შესაბამისი ჩანაწერი საოქმო გადაწყვეტილებაში, სადაც მოცემული იქნებოდა, რომ აკრედიტაციის საბჭომ იმსჯელა მონიტორინგის ფარგლებისა და ექსპერტთა მიერ შესწავლილი საკითხების არსობრივ კავშირებზე. ასევე დაეთანხმა დაწესებულებას, რომ არ შეიძლება მონიტორინგის ფარგლების უსასრულო გაფართოება, მაგრამ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო საბჭოს სჭირდებოდა დამატებითი განმარტებები, თუ რა კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით მიიჩნევა დაწესებულება მონიტორინგის ფარგლების დარღვევას.

უნივერსიტეტის რექტორი ვახტანგ ლეჟავა, დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ მონიტორინგის ჯგუფი არ უნდა შეიზღუდოს საკითხის სიღრმეების კვლევაში, რათა გამოკვეთოს გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია რეკომენდაციისა და მონიტორინგის საგნის შესრულებასთან; თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც საკითხის/საკითხების დაზუსტებისათვის სხვა საკითხების შესწავლა საჭირო არ იყო. ზოგიერთ შემთხვევაში აბსოლუტურად ცხადად შეიმჩნეოდა სხვა არათემატურ საკითხებზე გადასვლა, რომელიც ძალიან ძნელია ლოგიკური კავშირით იყოს დაკავშირებული მონიტორინგის საგანთან. რაც

შეეხება ექსპერტთა ჯგუფს, აკრედიტაციის საბჭოზე არ დაუსაბუთებიათ, თუ რა ლოგიკური მიმართება იყო იყო დასმულ, ახალ რეკომენდაციებსა და მონიტორინგის საგანს შორის. სამწუხაროდ უნდა აღნიშნოს, რომ აკრედიტაციის საბჭოსაც არ გამოუკვლევია აღნიშნული საკითხი. მაგალითებზე და დეტალებზე ისაუბრებდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მას აინტერესებდა კონკრეტულად რამდენიმე მაგალითის განხილვა, რათა საბჭო დარწმუნდეს საკითხის მართებულებაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ყველაზე დიდი ნაწილი დაეთმო სწავლების პრაქტიკის საგნის სავალდებულოდ/არა სავალდებულოდ გახდომის საკითხს, რომელიც თავდაპირველ რეკომენდაციებში საერთოდ არ იყო დასმული; წარმოდგენილი იყო მხოლოდ გარკვეული ჩანაწერების დაზუსტება; შესაბამისად, ვერანაირი ბმა პროგრამის სტრუქტურასთან ვერ იქნებოდა გაკეთებული. ასევე, საბჭოს სხდომაზე, გარდა იმისა, რომ არ ყოფილა რეკომენდაციების ლოგიკური ბმების განხილვა, არამედ თითოეულ რეკომენდაციაზეც კი ვერ მოხერხდა სრულფასოვანი დისკუსია. უნივერსიტეტის რექტორმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს სთხოვა, ნუ ისაუბრებდნენ იმ საკითხზე, რაც ვერ მოხერხდა, მოუწოდა ესაუბრათ ფაქტობრივ გარემოებებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა დამატებით განაცხადა, რომ წინა შეფასების დროს გაცემული იყო რეკომენდაცია, სილაბუსში გაწერილიყო შეფასების კრიტერიუმები და გაკეთებულიყო უნიფიცირებული ჩანაწერი შინაარსთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია ამ საგანთან მიმართებით საერთოდ არ ეხებოდა სილაბუსს, ეხებოდა საგნის სავალდებულოდ გახდომის საჭიროებას, ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი თემა რის გარშემოც აკრედიტაციის საბჭოს მიმდინარეობის დროს განვითარდა მსჯელობა.

უნივერსიტეტის რექტორმა დამატებით განაცხადა, რომ რამდენი დრო დაუთმო აკრედიტაციის საბჭომ საკითხის განხილვას, არ ჰქონდა მნიშვნელობა, შეიძლება საერთოდ არ დაეთმო დრო მნიშვნელოვანი საკითხებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, მარიამ გაბუნიაშვილმა დასძინა, რომ ბოლო აკრედიტაციის საბჭოს ოქმში ასახული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეკუთვნის პერსონალს. კერძოდ აღნიშნულია, რომ „მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ამასთან, სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წევრები.“ თავდაპირველ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხს საერთოდ არ ეხებოდა, არანაირი რეკომენდაცია არ იყო ამასთან დაკავშირებით, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ისეთი საკითხი, რომლის შემოწმებაც ექსპერტთა ჯგუფს არ ევალებოდა და არც უნდა შესულიყვნენ ამ ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით გასაგებია, რომ ეს საკითხი განიხილეს, რასაც უნდა ჰქონდოდა თავისი ახსნა, მისთვის საინტერესო იყო სწორედ ეს დასაბუთება.

უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ თუკი ეს იქნება აკრედიტაციის პროცესი, პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შემოწმდეს. ექსპერტთა მიერ არ იყო დასაბუთება წარმოდგენილი, თუ საიდან გამომდინარეობდა აღნიშნული რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ უსასრულოდ ეკამათათ კვალიფიციური კადრების არსებობა/არ



არსებობის საკითხზე, მიუხედავად მათი მოსაზრებისა, რომ ჰყავთ კვალიფიციური კადრები. მაგრამ, მისი მოსაზრებით ამ შემთხვევაში ნათელი უნდა ყოფილიყო, თუ საიდან გამოიტანეს აღნიშნული დასკვნა და რას ემყარებოდა მათ მიერ ყურადღების გადატანა პერსონალის საკითხზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა ნუცა ბათიაშვილმა, ზემოაღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პერსონალის საკითხის შეფასება მონიტორინგის ფარგლებს გარეთ იყო გასული, რადგან შეუძლებელია პერსონალის კვალიფიციურობის შეფასება, მათთან პირადი შეხვედრის ან მათი რეზიუმეების/პუბლიკაციების ინტენსიური გადახედვის გარეშე. პროგრამას ყავს აკადემიური პერსონალი, რომლის უმეტესობა უნივერსიტეტის სტრატეგიიდან/მიზნებიდან გამომდინარე ინტერდისციპლინური მკვლევარები არიან და მხოლოდ Excel-ის დოკუმენტში გაწერილი ინფორმაცია მათი პოზიციის და განხორციელებული სასწავლო კურსების შესახებ, არ იქნებოდა საკმარისი პერსონალის კვალიფიკაციის დადგენისათვის. ამიტომ არსებობს აკრედიტაციის შეფასების პროცესში ვიზიტი, დეტალურად უნდა იყოს განხილული პერსონალის პუბლიკაციების საკითხი, რაც ნაკლებად სავარაუდოა ამ შემთხვევაში.

უნივერსიტეტის რექტორმა დასძინა, რომ მონიტორინგის ფორმატში დაწესებულებას არ მიუწოდებია რეზიუმეები და მონაცემები ექსპერტებისათვის, რადგან მათი მოსაზრებით არ მოითხოვდა პროცესი. შესაბამისად, რეზიუმეები არ ჰქონიათ ექსპერტებს, არ განხორციელებულა ინტერვიუები, ამიტომ ცოტა რთულია დაადგინონ ექსპერტთა ჯგუფის მსჯელობის ლოგიკა. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, აღნიშნული რეკომენდაცია წამოვიდა პირველი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან, რადგან იქ იყო გარკვეული მოსაზრება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, თუმცა შემდეგ არ ასახულა ექსპერტთა დასკვნის რეკომენდაციებში. შეფასების იმ ეტაპზე, როდესაც დაწესებულება დაინტერესდა, თუ რაზე დაყრდნობით აკეთებდნენ პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ დასკვნებს, ექსპერტებმა განმარტეს, რომ ეს იყო პირველადი ანგარიშის/მიგნებების საფუძველი. თუმცა შემდეგ აკრედიტაციის საბჭომ არ გაიზიარა აღნიშნული გარემოება და ამიტომ, ეს უკანასკნელი მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფისათვის საფუძველი ვერ იქნებოდა, რათა დღის წესრიგში დაეყენებინათ საკითხი. მისი თქმით, ეს იყო არაფორმალური მოსაზრება, ხოლო ფორმალური ლოგიკა, მათთვის უცნობია, თუ რა ლოგიკით მივიდნენ ექსპერტები ამ დასკვნამდე, მიუხედავად იმისა, რომ არ შეუსწავლიათ აკადემიური პერსონალის მონაცემები და არ გასაუბრებიათ მათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დაზუსტება, აღნიშნული საკითხის ირგვლივ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე იყო თუ არა საუბარი, რადგან ოქმში არ არის ასახული.

უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა დააფიქსირეს მათი პოზიცია, მაგრამ ამას ლოგიკური დასაბუთება/ახსნა ექსპერტთა მხრიდან არ ჰქონია.

პროგრამის ხელმძღვანელმა ნუცა ბათიაშვილმა, განაცხადა, რომ მას აკრედიტაციის სხდომაზე უნდოდა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება, რისი საშუალებაც სხდომის მიმდინარეობის დროს არ მიეცა. მეორე საკითხი მონიტორინგის საზღვრებიდან გასვლის შესახებ არის ის, რომ ოთხი რეკომენდაციიდან (ერთ-ერთი ეხება სადოქტორო სემინარს პოლიტიკური თეორიის შესახებ), არცერთი რეკომენდაცია არ არის კავშირში წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებთან. შეფასების დროს ასე სიღრმეში შეჭრა, სავარაუდოდ აკადემიური კომპეტენციის დარღვევაა, ასევე მიუღებელია რჩევა იმის შესახებ, თუ კურსის ათვისებისათვის რომელი წიგნი სჯობს.

უნივერსიტეტის რექტორმა დასძინა, რომ ეს საკითხი საერთოდ შეურაცხმყოფელია და აკადემიური თავისუფლების შეზღუდვაა, თუმცა ეს უკანასკნელი განხილვის შემდეგ თემას წარმოდგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სააპელაციო საბჭოს აინტერესებდა, თუ რა რეკომენდაციები იყო გაცემული შეფაების პროცესში და რას მიიჩნევდნენ მონიტორინგის ფარგლებიდან გასვლას.

რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ, სთხოვა პროგრამის ხელმძღვანელს წაეკითხა ოთხივე რეკომენდაცია და დაესაბუთებინა თუ რანაირად შეიძლებოდა კავშირში ყოფილიყო რომელიმე რეკომენდაციასთან, რომელიც ადრე იყო გაცემული.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული მესამე რეკომენდაციაა - „კურსის „დოქტორანტის სემინარი III“ - ის შინაარსი, დიდწილად პოლიტიკური და ძალაუფლების თეორიების ანალიზს ასახავს. მნიშვნელოვანია კურიკულუმში ისეთი სასწავლო კურსის გათვალისწინება, რომლის შინაარსი შესაბამისი იქნება მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან (მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით)“, - რაც საერთოდ სცდება წინა რეკომენდაციების არსს, ამავე დროს აღნიშნულ რეკომენდაციას საფუძვლად უდევს დასკვნა, რომ პოლიტიკური თეორია არ არის რელევანტური იმ კვალიფიკაციებისთვის, რომელსაც პროგრამა ანიჭებს, რაზეც თუ მსჯელობაა საჭირო, შესაძლებელია ძალიან სიღრმისეულ მსჯელობაში შესვლა. თუკი ადამიანს არ ესმის პოლიტიკური თეორია როგორ არის დაკავშირებული იმ კვალიფიკაციებთან, რომელსაც ანიჭებენ, მათ შორის, სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულებებით, საჭიროა ძალიან დიდი კურსი ამისი ახსნისთვის.

უნივერსიტეტის რექტორმა მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს კითხვით, თუ არსებობდა რაიმე ინდიკაცია, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდა მონიტორინგის საგნიდან, იყო თუ არა რაიმე პოლიტიკურ თეორიაზე მითთება წინა შეფასების დროს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ არაფერი არ ყოფილა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იყო რეკომენდაცია გაცემული, თუმცა საგანს იგივე სახელი აქვს, რადგან შინაარსი არ არის ხოლმე მითითებული. იმ საგნის სახელწოდებაც იყო „დოქტორანტის სემინარი III“, რომელიც სხვა შინაარსის საგანია და რეკომენდაცია ეხებოდა ერთ-ერთი სახელმძღვანელოს მაგივრად სხვა ლიტერატურის მითითებას, ამიტომ ეს რეკომენდაცია არანაირ კავშირში არ იყო.

რექტორმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ რეკომენდაცია იყო „დოქტორანტის სემინარი III“ ლიტერატურის ჩანაცვლების შესახებ, რაც დაწესებულებამ შეასრულა. აღნიშნული რეკომენდაცია კი ეხება სხვა სადოქტორო სემინარს და საერთოდ საგნის საჭიროება/არ საჭიროებას. მისი მოსაზრებით, ხელოვნური ლოგიკა იქნება, რომ თუკი რომელიმე სადოქტორო სემინარზე რეკომენდაცია გაცემულა, გადაეწყვიტათ, რომ მონიტორინგის ფარგლები გაეგრძელებინათ ჩაეტარებინათ ყველა სადოქტორო სემინარზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მისთვის ყველაზე პრობლემატური არის დასკვნა, რომელსაც ეფუძნება აღნიშნული რეკომენდაცია, რომ პოლიტიკური თეორია არ არის რელევანტური ამ კვალიფიკაციის დოქტორანტებისათვის.

რექტორმა მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, რომ მას პროფესიული საკითხები აწუხებდა, სხდომაზე კი საუბარი იყო ფორმალურ შესაბამისობაზე.

პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით შემდეგი რეკომენდაცია უფრო შინაარსობრივ სიღრმეში შედიოდა - სილაბუსში „დოქტორანტის სემინარი III“ ძირითადი ლიტერატურიდან დამატებით ლიტერატურაში იქნას გადატანილი - Hoffman, J and Graham, P. (2015). Introduction to Political Theory, London and New York, Routledge, რაც საერთოდ არცერთ წინა რეკომენდაციასთან არ იყო კავშირში და არანაირი არგუმენტაცია არ არის მოცემული, თუ რატომ არის ამაზე ყურადღება გადატანილი, მაშინ როცა, სხვა დასავლური უნივერსიტეტების სადოქტორო კურსებში გამოიყენება ეს სახელმძღვანელო.

შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, კალენდარული გეგმის პირველ კვირაში თემისთვის „პოლიტიკური თეორიის საგანი. პოლიტიკისა და პოლიტიკური ფენომენის განსაზღვრის მცდელობა კარლ შმიტის მიერ“, ზემოთ ხსენებული Introduction to Political Theory-ის ნაცვლად, შმიტის შესახებ უფრო სპეციალიზებული მასალა იქნეს მითითებული (მაგალითად, The Oxford Handbook of Carl Schmitt, edited by J. Meierhenrich and O. Simons, Oxford: Oxford University Press, 2016); - რაც ასევე ეხება აკადემიურ გემოვნებას, მაგრამ ამავე დროს, ვისაც უნახავს მათ უნივერსიტეტში როგორ მუშაობენ იციან, რომ გადაწყვეტილებებს პროგრამების, კურსების შინაარსის შესახებ არ იღებს ერთი, ან რამოდენიმე ადამიანი, ყველა ელემენტი თითოეულ პროგრამაში არის ათობით და ასობით საათის მსჯელობის შედეგი, - შემდეგ კი პრაქტიკაში გამოცდილი და თითოეული სადოქტორო კურსის კოჰორტაზე მორგებული. ამიტომ ეს ლიტერატურაც არის შესაბამისად შერჩეული კურსის ავტორების მიერ და შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად არის ნამსჯელი, თუ რანაირად სჯობს რომ კურსის ორგანიზებისათვის. ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლები ასევე ელიან ხოლმე ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების დასაბუთებას.

კიდევ სურდა ერთი მაგალითის მოყვანა, - „სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კალენდარული გეგმის მე-3 კვირაში თემისთვის „სახელმწიფოს წარმოშობის კლასიკური თეორიები“ მითითებული ლიტერატურა შეივსოს სხვა წყაროებით, რათა ის სადოქტორო დონისთვის უფრო ადეკვატური გახდეს (მაგალითად, Quentin Skinner, „A Genealogy of the Modern State“, Proceedings of the British Academy, 162 (2009), გვ. 325-370)“ - რაც იგივე სახის რეკომენდაციაა.

უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით, ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ვერ იძებნება ვერანაირი ბმა ამ რეკომენდაციებსა და მონიტორინგს დაქვემდებარებულ რეკომენდაციებს შორის; ექსპერტებმა ვერ განმარტეს, აკრედიტაციის საბჭომ კი არ დაასაბუთა, დაწესებულებისთვის ძალიან ძნელია მოიფიქროს, თუ რა კავშირი შეიძლება იყოს სხვა სადოქტორო სემინარში ლიტერატურის ჩანაცვლებასა და ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს შორის. იგი დაეთანხმა პროგრამის ხელმძღვანელს, რომ გარკვეულად თავმოყვარეობის საკითხია, როდესაც დაწესებულებას ჰგონია კვალიფიციური აკადემიური პერსონალი ჰყავს, რომლებმაც შეარჩიეს ლიტერატურა, შემდეგ ამაზე მცირე მსჯელობის შემდეგ ეუბნებიან, რომ ლიტერატურა შესაცვლელია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, მარიამ გაბუნია დასძინა, რომ ბოლო აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გაცემულია რეკომენდაცია: „კურსის - „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ - სწავლის შედეგები საჭიროებს დაზუსტებას და მესამე საფეხურის დონისათვის შესაბამისობაში მოყვანას“. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა თავდაპირველ დასკვნაში „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ კურსთან დაკავშირებით საერთოდ არ ყოფილა რაიმე ტიპის რეკომენდაცია გაცემული, რაც ასევე დამატებითი არგუმენტია.

საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა მონიტორინგის შეფასების ვადებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია ვადების დარღვევა, მაგრამ ხანდახან იურისტები ვადის დარღვევას ამართლებენ ხოლმე იმისთვის, რათ მოხდეს უფრო მეტი სიკეთისა და ფასეულობის დაცვა,

მაგრამ ამ „სიკეთის გადარჩენას“ აუცილებლად ესაჭიროება ასევე სამართლებრივი პროცედურების მხედველობაში მიღება. იგი დაინტერესდა, დაწესებულება როგორ უყურებდა საკითხს, რადგან 6 თვიანი ვადა ამოიწურა და დაირღვა. შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთად იურიდიულ საფუძვლად მიაჩნდათ. იურისპრუდენცია იცნობს ე.წ. ჩამკეტ ვადებს. მისი არსი იმაში მდგომარეობას, რომ სამართლებრივი აქტით დადგენილი და ამასთან ერთად კონკრეტულად განსაზღვრული ვადა მისი ამოწურვის შემდეგ არ შეიძლება თვითნებურად გაგრძელდეს, ან ვადის განმავლობაში მოქმედების განუხორციელებლობამ თავად ამ მოქმედების ბათილობა გამოიწვიოს. ჩამკეტი ვადის გაგრძელება, როგორც წესი, არ ხდება, თუმცა საქმის სპეციფიკის (უფრო მეტი სამართლებრივი ღირებულების დაცვის მიზნით) გათვალისწინებით ეს უკანასკნელი შესაძლოა გაგრძელდეს, მაგრამ მისი გაგრძელება აუცილებლად უნდა მოხდეს იმავე ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელმაც თავდაპირველი ვადა განსაზღვრა და დაადგინა. როდესაც აკრედიტაციის საბჭო, ცენტრის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შედეგად განსაზღვრავს და ადგენს კონკრეტულ ვადას და ამ ვადის ჩამოყალიბების ძირითადი მოტივი იმაში მდგომარეობს, რომ იმავე საბჭოს (შემადგენლობის) ფუნქციონირების პირობებში მოხდეს საკითხის განხილვა (პროგრამასთან დაკავშირებული მეტი ინფორმაცია, პროცესის სისწრაფე და ა.შ.), მსგავსი ვადა ჩამკეტ ვადად უნდა იქნეს განხილული, ხოლო მისი გაგრძელება იმავე (ან სხვა შემადგენლობის) აკრედიტაციის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს.

უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ საკითხს არასამართლებრივად, მათი პოზიციიდან გამომდინარე უყურებდა, განაცხადა, რომ არა სხვა კუმულატიური ეფექტი ამ გარემოებების, ვადები შესაძლებელია არც გამხდარიყო დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი საკითხი. თუმცა ეს გარემოება დაემატა სხვა გარემოებებსაც და ამდენად გახდა მნიშვნელოვანი, რომ დაწესებულებას ჰქონდეს გადაწყვეტილების რევიზიის დამატებითი საფუძველი. მისი მოსაზრებით სიმეტრიული მიდგომები უნდა გავრცელებულიყო როგორც დაწესებულების, ასევე ცენტრის მხრიდან ვადების დარღვევისათვის. მხოლოდ ეს გარემოება რომ ყოფილიყო გამოკვეთილი, ისინი ამას არც გააპროტესტებდნენ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა, ანკა თაბუკაშვილმა, განმარტა, რომ 6 თვიან ვადას დამატებითი დატვირთვა აქვს, ვინაიდან თავდაპირველი აკრედიტაციის დროს, როდესაც აკრედიტაციის საბჭომ გასცა 6 თვიანი მონიტორინგის შესახებ გადაწყვეტილება, გაკეთდა შემდეგი ჩანაწერი „სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ ვადების გათვალისწინებით, რომ ისევ და ისევ განხილვა ჩანიშნულიყო საბჭოს მოცემული შემადგენლობის პირობებში“, რაც გულისხმობდა იმას, რომ ადამიანები, რომლებიც პროგრამას შედარებით უკეთ იცნობდნენ, უკეთ შეძლებდნენ რეკომენდაციების შესრულებას/არ შესრულების საკითხის შეფასებას; 2 წლით საკითხის გადავადება, არა მხოლოდ მეხსიერების, არამედ შემადგენლობის მხრივაც ქმნის პრობლემას. აკრედიტაციის საბჭოს და ასევე ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის შეცვლა ცხადყოფს, რომ შედეგები არც თუ ისე სახარბიელო შედეგის მომტანია.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს. მან განაცხადა, რომ მისი გულისწყვეტა მიმართულია ზოგიერთ შემთხვევაში იქეთკენ, რომ სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი კაუტელარული პრაქტიკა აკრედიტაციისა და აპელაციის საბჭოს მიერ. ეს, როგორც წესი, იწვევს სხვადასხვა წლის საბჭოების მიერ შინაარსობრივად იგივეობრივ საკითხებზე რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას. მართალია, ნებისმიერი საბჭოს შემადგენლობა და მისი თითოეული წევრი დამოუკიდებელი და თავისუფალია ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში, მაგრამ დამკვიდრებული ერთიანი პრაქტიკის განვითარება ხელს უწყობს თავად ინსტიტუციური მეხსიერების ფორმირებას აკრედიტაციის პროცესში. ეს კი განათლების სისტემის მდგრადად განვითარების წინაპირობას

უნდა ქმნიდეს. არსებული პრაქტიკის შეცვლა კი ყოველთვის უნდა იყოს დასაბუთებული, რაც თავად უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მხრიდან აკრედიტაციისა და აპელაციის საბჭოების გადაწყვეტილებათ მიმართ მეტ სიმყარესა და გარანტიას შექმნის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სისტემური ინსტიტუტური მეხსიერების ფორმირებას გარკვეული პერიოდი ჭირდება. მანამდე კი, განსახილველი საკითხის თვისებებიდან გამომდინარე, გამართლებულიც შეიძლება იყოს პიროვნულ მეხსიერებაზე ყურადღების გამახვილება, რაც ხანდახან ვადების განსაზღვრისას აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიიღება ხოლმე მხედველობაში.

სისტემური მეხსიერების შემოქმედი შეიძლება ინდივიდი იყოს, რომლის მხარდაჭერითც განხორციელდება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება და რომელსაც შესაძლოა, უკეთ ახსოვდეს დებატები, მსჯელობები საკითხის ირგვლივ. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახსოვდა აღნიშნული პროგრამა. 2018 წელს აკრედიტაციის საბჭომ განიხილა აღნიშნული პროგრამა. მასში იყო გარკვეული ხარვეზები, თუმცა საბჭო ერთსულოვნად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი ერთ-ერთი კარგი სადოქტორო პროგრამა იყო საქართველოში. აკრედიტაციის საბჭო ძალიან მკაცრად უდგებოდა სადოქტორო საფეხურის პროგრამებს. ასე რომ, ეს ვადა შესაძლებელია დაირღვეს/გახანგრძლივდეს, მაგრამ საკითხის სამართლებრივი დასაბუთება აუცილებლად უნდა არსებობდეს.

უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ თვითონ ვადის დარღვევის ფაქტი უნივერსიტეტისთვის შეიძლება არ იყოს ზიანის მომტანი, მაგრამ ვადის დარღვევამ მათ გაუუარესა მდგომარეობა, ანუ გავლენა მოახდინა შედეგზე. როდესაც საბჭო გასცემს 6 თვიანი მონიტორინგის რეკომენდაციას, 6 თვე მოკლე ვადაა, ანუ ხარვეზი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ დაწესებულებას 2-3 წელი სჭირდებოდეს მის გამოსასწორებლად. შესაბამისად, გარკვეული ხარვეზი გამოსწორების ვადის თანაზომადია. ამდენად, აკრედიტაციის საბჭომ ჩათვალა, რომ მოკლე ვადაში გამოსასწორებელი საკითხებია და მათ ექნებოდათ განცდა, რომ აღნიშნული საკითხი არ აქვთ თავიდან შესასწავლი, რეალურად კი აღმოჩნდნენ სიტუაციაში, როდესაც საკითხის თავიდან შესწავლა მოხდა მონიტორინგის ფარგლებში, რომელსაც არ აქვს სრულფასოვანი ინფორმაცია, რადგან მათ მონიტორინგის ჯგუფს მიაწოდეს მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც წინა ექსპერტთა დასკვნის მიხედვით რეკომენდაციებს შეეხებოდა.

## დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ფარცვანიამ, განაცხადა, რომ საკითხის ირგვლივ ყველაფერი ნათელი იყო, მისი მოსაზრებით, კოლეგიალური ორგანოს გადაწყვეტილებით მიღებული ვადების შეცვლას სჭირდება ისევ იგივე ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, ვადების დარღვევაც სერიოზული საკითხია. რაც შეეხება მონიტორინგის უკიდევანო საზღვრებს, განაცხადა, რომ სტანდარტები ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის და რაღაც კვეთები ყოველთვის არის, მაგრამ მონიტორინგით შეფასების დროს ასეთ დონეზე გადასვლა სხვა სტანდარტების შეფასებაში, გამართლებლურად არ მიაჩნია.

უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით, დაწესებულება იმისთვისაც იღწვის, რომ პრეცედენტი დამკვიდრდეს. როდესაც ექსპერტები მონიტორინგის ფარგლებში რაღაც რეკომენდაციას გასცემენ/დაამატებენ, ალბათ ეს ლოგიკა თანმიმდევრული უნდა იყოს, რადგან დაწესებულებისთვის ძალიან რთულია მიხვდეს, თუ როგორ მივიდა ექსპერტთა ჯგუფი ერთი რეკომენდაციიდან მეორემდე. სპეკულაციისთვის ძალიან დიდი სივრცეა და მონიტორინგის რეკომენდაციები, უნდა იყოს ცხადად და ლოგიკურად, პირდაპირ და უშუალოდ გამომდინარე წინა რეკომენდაციიდან, და არა ფართო მსჯელობის ფონზე შედგენილი. თუ შეფასების

ფარგლებში ეს სტანდარტი დამკვიდრდება, იქნება ბევრად უკეთესი. მან აღნიშნა, რომ ბოლო დროს, აკრედიტაციის შეფასების პროესში გამოიკვეთა, რომ ექსპერტები დირექტიულ მეთოდს ახორციელებენ, ისე რომ პერსონალს მიუთითონ, რომელი წიგნი/სტატია გამოიყენოს კურსის მსვლელობის დროს, რაც ფორმალური პროცედურის ფარგლებსაც სცდება და ასეთი ტენდენცია სახიფათო და შეურაცხმყოფელია.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, მარინა ქარჩავამ დამატებით განაცხადა, რომ ასეთი საკითხი შესაძლებელია ეს იყოს რჩევა, მაგრამ როდესაც რეკომენდაციის სახით არის ფორმირებული, დაწესებულებისათვის მიუღებელია. ეს არ არის სახელმწიფო პროგრამა, რომ სხვა წიგნით არ შეიძლება სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტს უფლება აქვს მიუთითოს ლიტერატურის შეცვლის ირგვლივ. მაგალითისათვის, მიუთითოს, რომ სანივთო სამართალი არ უნდა ისწავლებოდეს საკორპორაციო სამართლის წიგნით. მაგრამ თუკი სფეროში არსებობს სხვა თანაზომიერი ლიტერატურა (რაც სილაბუსშია მითითებული), მისი შეცვლის მითითება არ არის მართებული და ეს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი აკადემიური თავისუფლების პრინციპს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევა არ იყო სახეზე; საუბარია კარლ შმიტის ლიტერატურაზე. კურსის ავტორი კი არა მხოლოდ ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ერთ-ერთი ექსპერტია შმიტისა და აგამბენის თეორიაში. აქ საუბარი იყო ლიტერატურის ჩანაცვლებაზე.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ განაცხადა, რომ ზოგადი განათლების პრაქტიკიდან გამომდინარე, სასკოლო სივრცეში ვერ ახერხებენ გრიფირებულისა და არაგრიფირებულის კონტექსტში თავისუფლების შესაბამის ხარისხს მიაღწიონ, რაც აკადემიური თავისუფლების პრობლემას გულისხმობს. იგი დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ექსპერტებს უნდა ჰქონდეთ თავისი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა, მაგრამ პრინციპულად უმაღლესი განათლების საფეხურზე აკადემიური თავისუფლების ნაწილში ასეთ ჩარევას არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად. გამოთქვა იმედი, რომ საკიხს სამომავლოდ ყველა ფორმატში აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოს სხდომებზე მიექცევა ყურადღება, რადგან საკმაოდ ფუნდამენტური საკითხია განათლების მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნუცა ბათიაშვილმა, მაძლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს, რათა მან საშუალება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს ბოლომდე დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განმარტებები ასევე პირველი (ფორმალური წინაპირობები) საკითხის მეორე ქვესაკითხთან დაკავშირებით, რომელიც მონიტორინგის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის კონტროლის, ანუ მისი შემოწმების არეალს უკავშირდება. სააპელაციო საჩივარში ამასთან დაკავშირებით ასევე იყო პრეტენზია გამოთქმული, რაც გასაზიარებელი შეიძლება იყოს.

მონიტორინგის ფარგლების „უკიდევანოდ“ გაფართოვება დაუშვებელია. თუკი აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, თუ რა უნდა გადამოწმდეს, მონიტორინგის ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფი, მისი საქმიანობისას შემოფარგლული უნდა იყოს სწორედ მითითებული სამონიტორინგო „მასალით“. მონიტორინგის ფარგლები უნდა შეესაბამებოდეს ობიექტური შემფასებლის საგნობრივ შემოწმებას და მისი ყოველგვარი სპეკულაციური წარმოდგენა ამა თუ იმ დასამონიტორინგებელი საკითხის ირგვლივ

დაუშვებელი უნდა იყოს. შემოწმებას ექვემდებარება მხოლოდ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების არსობრივი, თვისებრივი, პირდაპირი და უშუალო კონტროლი. საკითხები, რომელიც შესაძლოა არაპირდაპირ და არასაგნობრივ/დარგობრივად იყოს დაკავშირებული მონიტორინგს დაქვემდებარებულ შემოწმებას, შემოწმებას არ ექვემდებარება. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით მონიტორინგის ფარგლების ისეთ გაფართოვებას, რომლის განსხვავებაც თავისი არსით ვერაფრით იქნებოდა შესაძლებელი პროგრამის აკრედიტაციისაგან. ეს კი დაუშვებელია. პროგრამული აკრედიტაცია, ბუნებრივია, არსებითად განსხვავდება უკვე აკრედიტირებული პროგრამის მონიტორინგისაგან და იგი (პროგრამული/თავდაპირველი აკრედიტაცია) პროცედურულადაც და შინაარსობრივადაც განსხვავდება მისგან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მონიტორინგის საკითხის უკეთ გარკვევისათვის ექსპერტი ვალდებულია, დასამონიტორინგებელ საკითხთან ერთად გადაამოწმოს მასთან უშუალოდ და პირდაპირ და არსობრივ კავშირში მყოფი საკითხი, თუმცა ეს, რა თქმას უნდა, ჩაჯდება მონიტორინგის საქმიანობის ფარგლებში და არ გამოიწვევს მის გაუმართლებელ და არაობიექტურ გაფართოვებას. სამწუხაროდ, აკრედიტაციის საბჭოს არც გადაწყვეტილებაში და არც სხდომის ოქმში აღნიშნული საკითხები დასაბუთებულად და სისტემაში მოყვანილად არ იქნა განხილული.

17:07 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება;

სხდომა განახლდა 17:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 5;

წინააღმდეგი - 0.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს, შემდეგი მითითებებით:

1. აკრედიტაციის საბჭომ უნდა გამოიკვლიოს 6 თვიანი ვადის დარღვევის შედეგი, მისი შესაძლო გავლენა გადაწყვეტილების კანონიერებაზე. ასევე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძველის გარეშე მისი გაუგრძელებლობის საფუძველი;
2. შემოწმდეს დასამონიტორინგებელი საკითხების ფარგლები, მათი საგნობრივი და არსობრივი მიკუთვნებადობის არეალი: დადგინდეს იყო თუ არა ამა თუ იმ გამოკვლეულ საკითხთან უშუალო და პირდაპირ დისკურსში ის შინაარსობრივი ბმები, რომელიც დარგობრივ და თვისებრივ კავშირურთიერთობაში უნდა ყოფილიყო მონიტორინგით განსაზღვრულ საქმიანობასთან.


## გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 3 აგვისტოს 17:22 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
სხდომის მდივანი  
ფარცვანია კახაბერ

